# მასალათა სპეციფიკაცია

კონსტრუქციულად შენობა ძირითადად რკინა ბეტონისა და მეტალის კონსტრუქციებისაგან შედგება, საძირკველი წერტილოვანი და ლენტური,კედლები წვრილი საკედლე ბლოკებისაგან ამოყვანილი მონოლითური ცანართებით.

პირველი სართულის გადახურვა მონოლითური ფილაა ორმაგი არმირებით,სამაყურებლო დარბაზი და სასცენო ნაწილის გადახურვა მოეწყობა მეტალის ფერმებზე მეტალოკრამიტის და პროფილირებული ნასტილისაგან.

კარ ფანჯრები, ვიტრაჟები რომლებიც ფასადზე გადიან დამზადდება ალუმინისაგან ორმაგი დაბურული მინაპაკეტებით .

იატაკები ფოიესი ,მუზეუმში , კაფე ბარში და კიბის უჯრედებში გათვალისწინებულია ტექნოგრანიტის.
სანკვანძების და სალარო გარდერობის იატაკები მეტლახის სველ წერტილებში კედლებზე კაფელი .სცენის ორმოში და სარდაფის დამხმარე სათავსების იატაკები ბეტონის.

პირველი და მეორე სართულის სარეპეტიციო და საგრიმიორო ოთახების იატაკები ლამინატის,დარბაზის სცენის იატაკები ხის

პროექტით გათვალისწინებულია შენობის მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა. გარე განათება საპარკო განათებითა და ფასადებზე მიმარტული პროძექტორებით .საფეხმავლო ბილიკები ტროტუარის ფილებისა და გრანიტის ბორდიურების, მწვანე ნარგავების,საპარკო სკამებისა და მცირე .არქიტექტურული ელემენტებისჩანართებით, აგრეთვე მოეწყობა მოშანდაკებული ავტოსადგომი 20 მანქანაზე.

შენობის არქიტექტურული იერსახე გადაწყვეტილია ორიგინალურ სტილში, და ფასად მოპირკეთდება აკვაპანელებით კარკასზე . მარალხარისხოვანი შელესვისა და შეღებილი კედლების ჩანართებით. მოაჯირები მეტალის მილებისაგან ფასადზე დამონტაჟდება პროჟექტორები და სარეკლამო განათება.

გ. მინდილაია
საქარტველოს არქიტექტორთა კავშირის წევრი